პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 193 (3170)

4 ოქტომბერი, სამშაბათი.

1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი





გუშინწინ თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული ზეიმი. სურათებზე: მარცხნივ — სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. კიკნაძეს ჩირაღდანი მიაქვს სტადიონის კოშკურაზე კოცონის ასანთებად; მარჯვნივ — თბილისელ მოსწავლეთა მასობრივი ვარჯიში. ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ზეიმის ანგარიში იხ. მე-2 გვ.)

დიდი პოეტისადმი მიძღვნილი...

შოთა-რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნაში თავიანთი წვლილი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმაც შეიტანეს. საქართველოს სპორტსმენებმა არა ერთი სპორტული ღონისძიება მიუძღვნეს დიდი პოეტის ხსოვნას. მათ შორის ერთი დიდი და საინტერესო ღონისძიება იყო ვარსკვლავისებური ტურისტული ესტაფეტა სამი მარშრუტით: 1. გელათი — ქუთაისი — ზესტაფონი — ხაშური — გორი — მცხეთა — თბილისი; 2. ვარძია — ახალქალაქი — ბოგდანოვკა—წალკა—თეთრი წყაროთბილისი; 3. იყალთო — თელავი — გურჯაანი — სიღნაღი — საგარეჯო—თბილისი. ერთი სიტყვით, სპორტსმენტურისტთა მარშრუტები გადიოდა სწორედ იქ, სადაც ვარაუდობენ, რომ რუსთაველი ცხოვრობდა, იღვწოდა და ჰქმნიდა.

ლაშქრობის მონაწილეებმა გელათში, ვარძიასა და იყალთოში 1 ოქტომბერს ერთდროულად, დილის 10 საათზე აიღეს სტარტი და 2 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე ესტაფეტები თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლთან მოიტანეს.

საწყისი ეტაპები იყო იყალთო, გელათი და ვარძია. იყალთოში დილიდანვე თავი მოეყარათ ახლომახლო სოფლებიდან მოსულ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, ფიზკულტურელებს. მათ აქ უნდა ეცადათ ძალები წრიულ ესტაფეტაში, მწვილდოსნობაში, ჭიდაობაში... შემდეგ კი სტარტი უნდა აეღოთ თბილისისკენ, შოთა რუსთაველის ძეგლისკენ. მანამდე ახალგაზრდებმა იყალთოს აკადემიის ეკლესიის შენობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობილ ბუზეუმს მიაშურეს...

დაიწყო პოეტისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმის სპორტული ნაწილი... წრიული ესტაფეტის სტარტზე მორბენლები დადგნენ, შემდეგ ესტაფეტა მიიღეს ველოსიპედისტებმა, ნორჩმა მხედრებმა და ბოლოს კვლავ მორბენლებმა. გამოვლინდნენ გამარჯვებულნი. ესენი იყვნენ რუსეთირის საშუალო სკოლის ფიზკულტურელები, რომელთაც უფლება მიეცათ თბილისში ჩასატანი ესტაფეტა გადაეცათ ვარსკვლავისებური ესტაფეტის მონაწილეთათვის. თავდაპირველად ველოსიპედისტები დაიძრნენ, თელავიდან კი გზა მოტოციკლისტებმა და კარტინგებზე ამხედრებულმა სპორტსმენებმა განაგრძეს. ლაშქრობის მონაწილეებს ამინდმა უმუხთლათ, დაიწყო წვიმა, მაგრამ სპორტსმენებმა მაინც იმარჯვეს და გურჯაანელებს დანიშნულ დროზე გადასცეს ესტაფეტა, რომელზედაც იყალთოელებს დიდი შოთას სიტყვები ამოეტვიფრათ: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“. გურჯაანელთა ავტოკოლონამ კი შოთას სიტყვებით შემკული ესტაფეტა სიღნაღს ჩაიტანა. სიღნაღელები თავის მხრივ მოტოციკლეტებით გაუდგნენ გზას საგარეჯოსაკენ, სწორედ მათთან, ვისაც წილად ხვდათ პატივი ესტაფეტა თბილისში რუსთაველის ძეგლთან მიეტანათ. და აი, სტარტი მიეცა ბოლო ეტაპს. საგარეჯოელ სპორტსმენ-მოტოციკლისტთა კოლონამ გეზი თბილისისკენ აიღო, გამოჩნდა დედაქალაქიც, მოტოციკლისტების გუგუნმა დაიპყრო ძველი თბილისის ქუჩები, უკან დარჩა დიდი პოეტის სახელობის გამზირი და საგარეჯოელებმა ზუსტად დანიშნულ დროზე იყალთოელთა გამოგზავნილი ნობათი რუსთაველის ძეგლთან მიიტანეს.

ჯ. ენუქიძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ფურნირი უმაღლეს დონეზე

ლენინაკანი, 3 ოქტომბერი (ტელეფონით). გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა ოლიმპიური ნაკრები გუნდების ტურნირი მძლეოსნობაში. სტადიონი მზად შეხვდა ასპარეზობის მონაწილეებს. კარგადაა მოწყობილი ბატუმის სარბენი ბილიკები (იგი მეორეა სსრ კავშირში ალმა-ათის სარბენი ბილიკების შემდეგ).

შეჯიბრებაში გათამაშდება სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები იმ სახეობებში, რომლებიც დნეპროპეტროვსკში საკავშირო ჩემპიონატის დროს არ ჩატარებულა.

შეჯიბრების პირველ დღეს ერთ მათგანს დაეუფლა არმიელი ვ. ანისიმოვი (კიევი), რომელმაც 200 მეტრზე თარჯრბენში ყველაზე კარგი დრო (23,3) აჩვენა. მეორე ოქროს მედალი დაისაკუთრა კიშინიოველმა ვ. ბოლშოვამ, 100 მეტრზე თარჯრბენში მან ზუსტად 13 წამი აჩვენა. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდი და მსოფლიო მიღწევაა. აღსანიშნავია, რომ ამ დისტანციაზე წლეულს პირველად გათამაშდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა.

სსრ კავშირის ე. წ. „8-მეტრიანთა კლუბს“ კიდევ ერთი ათლეტი შეემატა. ესაა ესტონელი ტ. ლეპიკი. 20 წლის არმიელმა მძლეოსანმა 803 სანტიმეტრი აჩვენა და პირველი ადგილიც მოიგო.

ტურნირისთვის ლენინაკანის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი ზღვის დონიდან 1526 მეტრის სიმაღლეზეა და ბუნებრივი პირობებით მეხიკოს უახლოვდება. ამგვარ პირობებში ასპარეზობამ ერთგვარად იმოქმედა შედეგებზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი მაინც დამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ქალთა სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ტ. ტალიშევა (მოსკოვი, „დინამო“) 631 სანტიმეტრზე გადახტა. აქ თ. როქმანოვა (თბილისი) VII იყო — 578 სმ. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ს. მარტინოვმა (მოსკოვი, „ბურევესტნიკი“) — 209 სმ, თ. მდივანმა და რ. ამბარიანმა (ორივენი — თბილისი) შესაბამისად 206 და 203 სმ დაძლიეს.

ვ. ანისიმოვმა მეორე დღესაც ისახელა თავი. ამჯერად მან 400 მ თარჯრბენი მოიგო — 50,8. დამაკმაყოფილებელი შედეგები ჰქონდათ ქალთა შორის 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებულ ლ. სამოტოისოვას (მინსკი, პროფკავშირები) — 23,7 და ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში უძლიერეს, ბაქოელ არმიელს ვ. კასატკინს — 10,4. 80 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ლენინგრადელმა ლ. კულკოვამ (ასკ) — 10,8, თბილისელი თ. როქმანოვა V ადგი-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)



სურათზე: თ. მდივანი სიმაღლეზე ხტომის დროს.

! ! !



ზეიმის აპოგეა

თბილისელებს არ ახსოვთ დედაქალაქში რაიმე დიდი ზეიმი ისე გამართულიყოს, რომ მის დამამთავრებელ ნაწილში ფიზკულტურელებს განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ და რა გასაკვირია, თუ ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმსაც სწორედ „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართული დიდი სპორტული სანახაობით დაესვა წერტილი.

„ვეფხისტყაოსანში“ ხომ განსაკუთრებული ადგილი უკავია სპორტს, ამიტომაც ზეიმისთვის სამზადისისა და ზეიმის დღეებში საქართველოში ამ თარიღისადმი მიძღვნილი უამრავი ღონისძიება გაიმართა. მარტო „განთიადის“ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში პროფკავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკური კომიტეტის 1000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

შოთასადმი მიძღვნილი დიდი შეჯიბრებანი გაიმართა ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში და რესპუბლიკის სხვა ქალაქსა და რაიონში, მაგრამ ყველა მათგანის აპოგეა კვირას თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარებული სპორტული დღესასწაული იყო.

ქალაქის ყველა კუთხიდან ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სტადიონისკენ დროშებით, ტრანსპარანტებით, შოთას აფორიზმებით მორთული საასპარეზო კი გულღიად ხვდებოდა უცხოელი და მოძმე რესპუბლიკების დელეგაციების წარმომადგენლებს.

ზეიმზე მოვიდნენ ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, შ. დ. კოკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

სალამოს 6 საათია. პირამდე სავსე სტადიონს დაფდაფები ზეიმის დაწყებას აუწყებენ.

სარბენ ბილიკზე შემოდიან ვეტერანები, რომლებმაც საქართველოს სპორტს შორს გაუთქვეს სახელი. მედროშეს, რომის ოლიმპიადის გმირს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ რ. შავლაყადეს მხარს უმშვენებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დვალიშვილი და ე. გოკიელი. ვეტერანთა შორის არიან აგრეთვე, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დუმბაძე, რ. ჩიმიშკიანი, მ. ყღენტი, გ. რცხილაძე, გ. ბაბილოძე და სხვები, რომელთაც მკერდს უმშვენებთ მრავალ ბრძოლაში მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და სამახსოვრო ნიშნები.

წინ დღით რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ ადგილებში: ვარძიაში, გელათსა და იყალთოში სტარტი მიეცა ვარსკვლავისებურ ესტაფეტას და აი, ამ დღეს რუსთაველის მოედანზე ესტაფეტა — ანთებული ჩირაღდანი მძლეოსნებმა მიიღეს. იგი სტადიონზე შემოარბენინა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიანტმა, სპორტის ოსტატმა მ. ტუღუშმ, ბოლო ეტაპზე მან ჩირაღდანი გადასცა ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს ძიუ-დოში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. კიკნაძეს. ჩვენმა სახელოვანმა ათლეტმა სტადიონის კოშკურაზე აანთო ცეცხლი.

გრძელდება ვ. სამსონაძის, გ. ყირმელაშვილისა და თ. სანებლიძის სცენარის მიხედვით დადგმული სპორტული ზეიმი, რომელიც მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა ა. კერესელიძემ, ხოლო მხატვარია თ. სამსონაძე.

საფეხბურთო მინდორზე შემორბის თბილისის საშუალო სკოლების 6000 ტანმოვარჯიშე. უზარმაზარ თაიგულს დაემგვანა სტადიონი, რომლის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე ამოიქარგა „800“. ვიდრე სარბიელზე ნორჩები „ბატონობენ“, სარბენ ბილიკებზე მოდიან სპორტსაზოგადოებების — „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“ და არმიელთა სპორტლუბის წარმომადგენლები, ათეული ათასი მაყურებლის წინ მათ გაატარეს დიდებით მოსილი თავიანთი სპორტსაზოგადოებების დროშები.

საინტერესო იყო ზეიმის მეორე ნაწილი — „შოთა რუსთაველის ეპოქა“. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა წარმოადგინეს შოთას გმირების ბრძოლა ნესტანდარეჯანის განთავისუფლების დროს ე. წ. „ჭაჯთა ძლევის“ სცენა. ამასობაში ტრიბუნის წინ ჭენებით გაიჭოლეს ხევსურმა ცხენოსნებმა.

რუსთაველის ეპოქა, ცხადია, ფარიკაობის გარეშე წარმოუდგენელია და აი, სტადიონზე სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა ცეკვა „ფარიკაობა“ წარმოადგინა.

„გამარჯვებულთა ზეიმში“ მონაწილეობდნენ დუშეთის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, გუდაუთის ცხენოსნები. მინდორზე კი თბილისის პედინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ნ. სალუქვაძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს სურათი „ჩანგი“. მერე ფიზკულტურის ინსტიტუტის „მშვილდოსანთა არმიამ“ იასპარეზა. რუსთაველის ამ ზეიმზე შეკრებილებმა ნახეს ის ეროვნული სპორტული თამაშობანიც, რომლებიც საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული. ჩოხატაურისა და მახარაძის სპორტსმენებმა წარმოადგინეს ლელობურთი (ხელმძღვანელები ი. მინდაძე და ა. ციწაძე), ჩოხატაურისა და გუდაუთის გუნდებმა — ცხენბურთი (ტ. ჩხეკვაძე და ვ. ხაება), ცხაკაიელებმა — ისინდი (გ. ივანიძე და რ. კორძაია).

ჰაერში დაირხა ქართული საჭიდაოს აღმგზნები ჰანგები და მწვანე მინდორზე შეკრულ წრეებში ერთდროულად 12 წყვილი შეეჭიდა ერთმანეთს: აქ მაყურებლებს თავიანთი ოსტატობა აჩვენეს გორის, თელავისა და კასპის ათლეტებმა.

დიდებული იყო „რუსთაველის ეპოქა“, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესო გამოდგა ზეიმის მესამე ნაწილი, რომელსაც სცენარის ავტორებმა „ბედნიერი ახალგაზრდობა“ უწოდეს.

სარბიელს ამჭერად თბილისის სპორტული სკოლების ტანმოვარჯიშენი (ხელმძღვანელი შ. კაკაურიძე) დაეუფლნენ, რომლებმაც ნაირფეროვანი მხატვრული, თავისუფალი და იარაღებზე ვარჯიშები წარმოადგინეს.

საქართველოს პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლების ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა შესანიშნავად შეასრულა ვარჯიშები „შრომა“ და „ჩაის კრეფა“, რის შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი-ფიზკულტურელები.

ზეიმი დასასრულს უახლოვდება. სტადიონის აღმოსავლეთის ტრიბუნის უკან ჰაერში აუშვეს შოთა რუსთაველის უზარმაზარი პორტრეტი.

დაბინდდა. დაიწყო ფეიერვერკი. ერთმანეთს ცვლიდნენ შუშხუნები და სალუტი, რომლებიც ღამეში დიდებულ სანახაობას ქმნიდნენ.

ეს ყველაფერი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოხდა, მაგრამ ეს არ იყო რუსთაველისადმი მიძღვნილი ამ დღის ერთადერთი სპორტული ღონისძიება. კიროვის პარკის სტადიონზე ჩატარდა კალათბურთელთა ელვისებური ტურნირი, მტკვარზე გაიმართა „ზეიმი წყალზე“, იპოდრომზე — ცხენოსნობა და სხვ.

• • •

სურათებზე: ზეიმის მოვენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მოსწავლეებმაც აღნიშნეს

რუსთაველის საიუბილეო დღეებში უჩვეულოდ იყო გამოცოცხლებული ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი. აქ ფართოდ აღნიშნავდნენ დიდი ქართველი მგოსნის დაბადებიდან 800 წლისთავს. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ნორჩმა სპორტსმენებმაც. გაიმართა შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ბადმინტონში. დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის ბავშვთა სპორტსკოლისა და წყალტუბოს რაიონის ბოდბურთელას სკოლა-ინტერნატის ფეხბურთელთა შეხვედრამ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 5:1.

ი. კოკუაშვილი.

პირველად მტკვარზე

თბილისში, მტკვარზე პირველად გაიმართა საქალაქთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება საწყლოსნო თხილამურებში, რომელიც დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა. ახპარეზობდნენ მოსკოვის, სოჭისა და თბილისის სპორტსმენები.

ტურნირი სამ დღეს გაგრძელდა. იგი ტრადიციულად წყვილი თხილამურის სლალომით დაიწყო. ქალთა შორის ყველას აჯობა სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მოსკოველმა ლ. ნეჩაევამ. საქართველოს ჩემპიონი შ. ცნობილაძე III იყო. ვაჟთა შორის პირველობა წილად ხვდა საქართველოს ჩემპიონს ო. გოცირიძეს, რომელმაც დაამარცხა ყველა მეტოქე და მათ შორის საკავშირო პირველობის ვერცხლის მედალოსანი მ. გოხბერგიც. ცალი თხილამურით სლალომში გაიმარჯვეს ნეჩაევამ და გოხბერგმა.

ამას წინათ თბილისის ზღვაზე გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ტრამპლინიდან ხტომაში ვ. ძაგანიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მაშინ მის ამ წარმატებას ბევრი შემთხვევითობით ხსნიდა, მაგრამ ვ. ძაგანიამ ახლა დაადასტურა, რომ მისი მაშინდელი წარმატება კანონზომიერი იყო. ამჯერად მან პირველი ადგილი მოიპოვა. სამჭიდელ ქალებში გაიმარჯვა ნეჩაევამ, ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა გოხბერგი. II იყო გ. ყიასაშვილი, III — ო. ჩხეიძე

მაყურებლები განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ სოჭელი სპორტსმენების ი. კოსტენკოს, ლ. ლავრინენკოსა და ვ. პეტროვას გამოსვლას. მათ დამსწრეთ უჩვენეს ფიგურული სრიალი. სოჭელი მოთხილამურენი შესანიშნავად ასრულებდნენ პირამიდას დიდ სისწრაფეზე, 180 და 360 გრადუსით ბრუნებსა და სხვა ურთულეს ვარჯიშებს.

პ. ნუშბაევი.



კვირას ბათუმში. პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გაიმართა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი დიდი სპორტული დღესასწაული, რომელშიც ქალაქის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია საწყლოსნო თხილამურებით ახპარეზობამ. დამსწრეებს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს პარკთან არსებული საწყლოსნო სპორტის სექციის წევრებმა.

• • •

სურათზე: ნორჩი მოთხილამურენი მარცხნიდან მარჯვნივ — ს. კონდუქტოროვა, ვ. პოგოდიჩევი და ა. ჩიგოგიძე საჩვენებელი გამოსვლის დროს.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და რესპუბლიკის სპორტკავშირის პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება პიონერთა III რესპუბლიკური თამაშების ჩატარების შესახებ.

თამაშები, რომელიც 26 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე თბილისში გაიმართება, ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს და მიზნად ისახავს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ მასობრივ განვითარებას პიონერთა და მოსწავლეთა შორის, სკოლებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის დათვალიერებას; პიონერული ასაკის ბავშვებიდან ნიჭიერი სპორტსმენის შერჩევა-გამოვლენას; ბავშვთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის, როგორც მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუალების ფართო პროპაგანდას.

პიონერთა III რესპუბლიკური თამაშები ტარდება 2 ჯგუფად: სოფლისა და ქალაქის რაზმეულებისთვის. თამაშებზე დაიშვებიან რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების პიონერული ორგანიზაციები, გუნდები უნდა დაკომპლექტდნენ 1952-53 წლებში დაბადებული მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე ბავშვებით (ცურვაში დაიშვებიან 1954-55 წლებში დაბადებულნი).

თამაშები 3 ეტაპად ტარდება: I ეტაპი გაიმართა 20 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე. ეს იყო რაზმეულების პირველობა, II ეტაპი: 2-10 ოქტომბერი — სარაიონო და საქალაქო პირველობანი, III ეტაპი: 26 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე — ფინალური თამაშები თბილისში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სარაიონო და საქალაქო პირველობებში გამარჯვებული გუნდები. მძლეოსანთა გუნდები ფინალური თამაშებისთვის შეირჩევიან დაუსწრებლად, ადგილებიდან გამოგზავნილი ინფორმაციების საფუძველზე, სხვა სპორტულ თამაშებში ჩატარდება წინასწარი ზონალური შეჯიბრებანი სარაიონო და საქალაქო პირველობებში გამარჯვებული გუნდებისთვის.

ფინალურ თამაშებში ქალაქის რაზმეულებს გამოჰყავთ კალათბურთში, მძლეოსნობასა და ფრენბურთში გოგონებისა და ჭაბუკების 5-5 გუნდი, ცურვაში გამოვა თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის პირველობებში გამარჯვებული 4 გუნდი, ტანვარჯიშში — თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის, ცხინვალის, ტყიბულის, გორის, რუსთავისა და ჭიათურის

ფეხბურთი

„ჯ" ჯგუფი

1 : 1

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. დღეს აქ, საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა" და ოდესის ასკ-ს ფეხბურთელთა გუნდები. ჩემპიონებმა ძლივს დააღწიეს თავი დამარცხებას. არმიელთა ერთადერთი შეტევისას ანდრეიუკმა ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა. ამის შემდეგ ტორპედოელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის აღება (შჩერბაკოვი) — 1 : 1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	28	18	9	1	53—12	45
ცსკა	25	15	6	4	54—30	36
„ტორპედო" (მოსკოვი)	29	14	8	7	46—28	36
„ნეფტჩანიკი" (ბაკო)	28	13	7	8	41—23	33
ასკ (როსტოვი)	27	15	3	9	42—38	33
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	26	8	14	4	25—18	30
„სპარტაკი" (მოსკოვი)	24	11	7	6	33—28	29
„დინამო" (მინსკი)	28	10	9	9	32—30	29
„დინამო" (თბილისი)	27	9	10	8	33—26	28
„კაირატი" (ალმა-ათა)	26	10	7	9	24—27	27
„დინამო" (მოსკოვი)	27	9	8	10	35—31	26
„შახტიორი" (დონეცკი)	26	11	4	11	26—30	26
„ზენიტი" (ლენინგრადი)	29	10	6	13	32—44	26
„ჩერნოგორეცი" (ოდესა)	27	7	10	10	24—30	24
„არარატი" (ერევანი)	27	6	9	12	18—41	21
„ტორპედო" (ქუთაისი)	28	7	5	16	34—52	19
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	27	3	12	12	17—36	18
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	27	6	4	17	22—39	16
ასკ (ოდესა)	28	1	10	17	13—41	12

„შახტიორი" ავსტრიაში

ავსტრიაში სტუმრად იმყოფება დონეცკის „შახტიორი". უკრაინელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი „ვინერ შპორტ-კლუბთან" გამართეს, რომელიც ავსტრიის ჩემპიონატის I ლიგაში გამოდის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

ი. ნეტო კვიპროსელებს ეხმარება

მიმდინარე წლის ზაფხულში ფეხბურთის მოყვარულებმა უკანასკნელად იხილეს ი. ნეტოს თამაში. მაგრამ ამჯერად იგი თავისი კლუბის („სპარტაკის") ღირსებას კი არ იცავდა, არამედ მოსკოვის ვეტერანთა ნაკრების ინტერესებს.

ამ დღეებში ვეტერანი ფეხბურთელი გაემგზავრა კვიპროსს, ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების მოწვევით. ი. ნეტო 2 თვის მანძილზე უხელმძღვანელებს კვიპროსელ ფეხბურთელთა მომზადებას.

მილიონთა თასის ფინალური

8-13 ოქტომბერს დნეპროპეტროვსკში ჩატარდება სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩები ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. სატელიო ჯილდოსთვის ბრძოლას 4 კოლექტივი განაგრძობს: „ჟოშომოლეცი" (ლენინგრადი), „სატანიკი" (პოლტავა), ლვოვის გუნდი და „ზვეზდა" (ტაშკენტი).

ბოლო მატჩში ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს სევასტოპოლის „მეტალისტი" (3:2), პოლტაველებმა — მინსკის „სატანიკი" (2:0), ლვოველებმა — მოსკოვის „ენერგია" (2:0), ხოლო ტაშკენტელებმა — კრასნოიარსკის „ენისეი" (3:0).

აღსანიშნავია, რომ მილიონთა თასის ადრინდელ მფლობელთა შორის წლევანდელი ფინალისტებიდან მხოლოდ ლენინგრადელები და ტაშკენტელები იყვნენ. მაგრამ ლენინგრადის ღირსებას მაშინ იცავდა „ედანოვეცი", ხოლო ტაშკენტისას — „ხოკოლი". ასე რომ, ჯილდოს მფლობელი უდაოდ ახალი კოლექტივი იქნება.

ტურნირი უმაღლეს დონეზე

(დასასრული)

ლზე გავიდა — 11,2. 400 მეტრზე ვაჟთა რბენაში ყველას აჯობა გ. სვერბეტოვმა (ოდესა) — 47,2. თბილისელი ტ. ბახტაძე („ლოკომოტივი") გამარჯვებულს 0,6 წამით ჩამორჩა და V ადგილით დაკმაყოფილდა. თავის შესაძლებლობაზე ცუდად გამოვიდა გ. გუდაშვილი („დინამო"), რომელმაც ბადროს ტყორცნაში მხოლოდ 54 მეტრი აჩვენა. აქ პირველი იყო პროფკავშირთა გუნდის წევრი ვ. ლიახოვი (მოსკოვის ოლქი) — 58,11.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალთა შორის: 100 მ რბენაში — ლ. გრიგორიევამ (კალინინი, „ტრუდი") — 11,7, 800 მეტრზე რბენაში — ა. კრივოშჩეკოვამ (მოსკოვი, „დინამო") — 2.07,3; სიმაღლეზე ხტომაში — ო. ოკოროკოვამ (იაროსლავლი, პროფკავშირები) — 170; ბადროს ტყორცნაში — ლ. შჩერბაკოვამ (სტავროპოლი, „დინამო") — 53,34; ბირთვის კვრაში — ნ. ჩიქოვამ (მოსკოვი, პროფკავშირები) — 16,82; ვაჟთა შორის: 800 მ რბენაში — ვ. ხრომოვმა (მოსკოვი, ცსკა) — 1.51,6; 1500 მ რბენაში — ი. პოტაპჩენკომ (ლენინგრადი, „დინამო") — 3.54.2; 5000 მ რბენაში — ი. შოპსამ (მოსკოვი, „დინამო") — 14.28,2; 10.000 მ რბენაში — ვ. ალანიევმა (სვერდლოვსკი) — 30.24,6; 110 მ თარჯრბენში—ა. სტეპანენკომ (მოსკოვი, „დინამო") — 14,0; 3.000 მ წინაღობებით რბენაში — ნ. ზობოვმა (სვერდლოვსკი) — 8.59,2; 20 კმ სპორტიულ სიარულში — ვ. აგაპოვმა (მოსკოვი, ცსკა) — 1:33.13,2; მარათონში — ა. ბულდიგეროვმა (ვილნიუსი, პროფკავშირები) — 2:26.55,0; ურო ტყორცნაში—ვ. ტრიბუნსკიმ (მოსკოვის ოლქი, „დინამო") — 65,18; ჭოკით ხტომაში — ი. ფელდმა (ლენინგრადი, „ტრუდი") — 490.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა შეიარაღებულ ძალთა ოლიმპიური გუნდი, II ადგილზეა პროფკავშირების I ნაკრები, III — „დინამო".

თ. მაჩაბელი,
ო. სტეპანოვი.

საკავშირო კატეგორიის მსაჯები.

ფინიშის მისადგომებთან

თბილისის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეოთხედფინალები, რომლებიც ამჟამად ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს, ფინიშს მიუახლოვდა. აი, როგორი მდგომარეობაა ჯგუფებში:

I ჯგუფში 6 ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ო. თურქესტანიშვილი — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

II ჯგუფში კვლავ წინ არიან ნ. ჩახოიანი და ვ. კარემაზოვი — 5-5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

III ჯგუფში პ. შაქარიანმა და ი. ციცერონოვმა ყველა (6) პარტია მოიგეს. მოუსწრია გოგონას ც. კობაძეს 4 ქულა აქვს. მან ბოლო 2 პარტიაში გაიმარჯვა.

IV ჯგუფში ერთპიროვნულად დაწინაურდა დ. ექვთიმიშვილი — 4,5 (1).

V ჯგუფში რ. კაპანაძე და ჩ. პახლევანიანი (5-5) ლიდერობას არაუფლებენ.

VI და VII ჯგუფებში 5-5 ტური გათამაშდა.

VI ჯგუფში ლიდერობენ ა. ლიპარტელიანი და თ. ქუთელია, რომლებსაც 2,5-2,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია აქვთ.

VII ჯგუფს სათავეში უდგას გ. ზოზიაშვილი — 3,5 (2).

VIII და IX ჯგუფებში 4-4 ტური შედგა.

VIII ჯგუფში I ადგილზეა ვ. მეჩიტოვი — 3 (1), ხოლო IX — ლ. კოჩიევი — 2,5.

ფინიშის მისადგომებთან

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	28	17	5	6	55—32	39
„დინამო" (თბილისი)	27	13	9	5	41—28	35
„დინამო" (მოსკოვი)	28	11	12	5	36—26	34
„დინამო" (მინსკი)	28	12	9	7	38—31	33
„არარატი" (ერევანი)	27	10	10	7	44—35	30
ცსკა	25	11	8	6	29—25	30
„კაირატი" (ალმა-ათა)	27	10	9	8	37—36	29
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	27	10	8	9	36—33	28
„ტორპედო" (მოსკოვი)	28	9	10	9	28—31	28
ასკ (როსტოვი)	27	9	9	9	33—32	27
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	27	9	8	10	31—38	26
„ნეფტჩანიკი" (ბაკო)	28	11	3	14	32—37	25
„ტორპედო" (ქუთაისი)	28	7	10	11	31—33	24
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	26	6	11	9	32—30	23
„შახტიორი" (დონეცკი)	26	6	11	9	30—34	23
„ჩერნოგორეცი" (ოდესა)	27	6	11	10	25—37	23
ასკ (ოდესა)	26	5	10	11	18—29	20
„ზენიტი" (ლენინგრადი)	28	6	8	14	33—45	20
„სპარტაკი" (მოსკოვი)	24	6	3	15	24—41	15

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა მოსკოვის „ტორპედოსა" და ოდესის ასკ-ის დუბლშემადგენლობათა მატჩის შედეგი.

ავსტრიელი ძიუდოისტები გორში

გორის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ავსტრიელ ძიუდოისტთა სტუმრობამ. ავსტრიელები პირველად ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ათლეტებს შეხვდნენ. ქართველმა ძიუდოისტებმა მაღალი ოსტატობა და კარგი საბრძოლო თვისებები გამოამჟღავნეს და გაიმარჯვეს 4,5:1,5.

ამ შეხვედრაში აღსანიშნავია გ. ბეინიშვილის წარმატება, რომელმაც წმინდად დაამარცხა ავსტრიის ჩემპიონი, ე. მაზლერი. ასევე წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს რ. მაღალთაძემ (კ. მანფრედთან), ვ. ბორრაშვილმა (გ. ბენცთან) და სხვ.

განმეორებით შეხვედრაში ავსტრიელი ძიუდოისტების მეტოქე „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდი იყო. წარმატებას აქაც მასპინძლებმა მიაღწიეს. განსაკუთრებით კარგი შეხვედრა ჰქონდა დატოვა მძიმე წონის ათლეტმა ი. მჭედლიძემ. მან მესამე წუთზე წმინდად მოუგო ავსტრიის ჩემპიონ ი. იოჰანს.

ი. თევდორაშვილი.

დაწინაურდა ს. ჩეჩელიანი

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება დედაქალაქის უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი. 5 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. გ. მაჭავარიანს 3 პარტია ჰქონდა დასამოლოებელი, მაგრამ მან მხოლოდ მ. თხელიძესთან მოასწრო თამაში და გაიმარჯვა.

ო. ელიოზიშვილმა ე. უბილავასთან პარტიაში, სადაც მას პაიკი აკლდა, შეუპოვარი წინააღმდეგობით ყაიმს მიაღწია. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე, ლ. კერნოჟიცკი და ე. მიქაელიანი, გ. ციხელაშვილმა მოუგო ა. კირვალიძეს, ხოლო ჰ. არნშტეინმა — ზ. მიქაძეს.

VI ტურში მხოლოდ ე. უბილავა — მ. თხელიძის პარტია გადაიდო. ს. ჩეჩელიანმა შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხა ლ. კერნოჟიცკი, ზ. მიქაძემ მოუგო ა. კირვალიძეს. კვლავ დამარცხდა ს. მეგრელიშვილი, ამჯერად, გ. ციხელაშვილთან. ო. ელიოზიშვილმა სძლია ე. მიქაელიანს. გ. მაჭავარიანი და ჰ. არნშტეინი ყაიმით დაკმაყოფილდნენ.

6 ტურის შემდეგ დაწინაურდა ს. ჩეჩელიანი (4 ქულა და 1 გადადებული პარტია). მომდევნო ადგილებზე არიან: ო. ელიოზიშვილი, გ. ციხელაშვილი, (4-4), ე. უბილავა (2,5 და 2 გადადებული პარტია), მ. თხელიძე (2,5 და 1 გადადებული პარტია).

ვადრაკი

მოსკოვში მთავრდება სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა მოჭადრაკეების გუნდური პირველობა. დღეისთვის გათამაშებულია 8 ტური. I ადგილზეა შეიარაღებულ ძალთა ნაკრები, II — „ბურევესტნიკი", III — „ტრუდი", IV — „სპარტაკი".

პირველობის ნამდვილი გმირი გახლავთ მხოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, რომელსაც სურათზე (მარჯვნივ) ხედავთ ბ. სპასკისთან თამაშის დროს. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა დაამარცხა ვ. სმისლოვი („ბურევესტნიკი"), ა. ლუტიკოვი („მოლდოვა"), პ. კერესი („კალევი"), ბ. სპასკი („ლოკომოტივი"), ი. ბირბრაგერი („მეხნატი"), ხოლო ე. გელერთან (ცსკა) პარტია გადადო ზედმეტი პაიკით.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).



პიონერული

პირველობებში გამარჯვებული გოგონებისა და ჭაბუკების 10-10 გუნდი. სოფლის რაზმელებს გამოჰყავთ კალათბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში სარაიონო პირველობებში გამარჯვებული ჭაბუკებისა და გოგონების 8-8 გუნდი. სპორტის თვითეულ სახეობაში გოგონებისა და ჭაბუკების გუნდები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა რაზმელებიდან.

სარაიონო, საქალაქო პირველობებში გამარჯვებული კოლექტივები დაჯილდოვდებიან განათლების რაიონული (ან საქალაქო) განყოფილების, კომკავშირის რაიკომის (ან ქალაქკომის) და ადგილობრივი სპორტკავშირების სიგელებითა და ვიმპელებით. ფინალურ თამაშებში გამარჯვებული კოლექტივები კი ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სიგელებით, საქართველოს განათლების სამინისტროს, საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოსა და რესპუბლიკის სპორტკავშირის I, II და III ხარისხის დიპლომებითა და თასებით. თამაშების მონაწილე 65 საუკეთესო ნორჩი სპორტსმენი დაჯილდოვდება საკავშირო პიონერთა ბანაკის „არტეკის" უფასო საგზურებით. საუკეთესო ნაკრები კოლექტივების მასწავლებლები დაჯილდოვდებიან საქართველოს განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის ყველა რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოს ევალება სახალხო განათლებისა და სპორტკავშირის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შექმნან პიონერთა რაიონული, საქალაქო და საოლქო თამაშების ჩატარების შტაბები.

თამაშებში აქტიურად უნდა ჩაებას ყველა რვაწლიანი, საშუალო პოლიტეხნიკური და სკოლა-ინტერნატის პიონერული რაზმელი. თამაშების მალე დონეზე გამართვის მიზნით ბავშვებისთვის უნდა გამოიყოს საუკეთესო ბაზები, მსაჯები, მწვრთნელები.

პიონერთა ორგანიზაციის რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოში ა. წ. 12 ოქტომბრამდე უნდა გამოგზავნონ ინფორმაციები ადგილობრივი თამაშების ჩატარების შედეგების შესახებ.

პიონერთა თამაშებში მონაწილეობა პიონერული კოლექტივებისთვის სპორტული მიღწევების დღესასწაულად უნდა გადაიქცეს.

პროზუმენშჩიკოვა (სსრ კავშირი)

დევისი (აშშ)

კარეტო (აშშ)



ოზბერიენი (ავსტრალია)

კოლბი (აშშ)

უხვი მოსავალი

38 რეკორდი ერთ თვეში

მსოფლიოს მოცურავეთათვის აგვისტო ყველაზე უხვმოსავლიანი იყო ამ სახეობის ისტორიაში: ევროპის პირველობაში (უტრეხტი), აშშ-ს ჩემპიონატში (ლინკოლნი) და ბრიტანეთის ქვეყნების თამაშებში (კინგსტონი), აგრეთვე, ზოგიერთ სხვა ქალაქში მოასპარეზეებმა მსოფლიოს 38 ახალი რეკორდი დაამყარეს. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს აშშ-ს მოცურავეებმა, რომლებიც 16 რეკორდს დაეუფლნენ. II ადგილზე არიან ავსტრალიელები (10 რეკორდი).

ამერიკელთაგან განსაკუთრებით ისახელა თავი ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს 4 მედლის მფლობელმა დ. შოლანდერმა, რომელმაც ავადმყოფობის გამო ერთწლიანი შესვენების შემდეგ, წლეულს მსოფლიოს 4 ახალი რეკორდი დაისაკუთრა, თუმცა ერთი—400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მას ძალე ჩამოართვა ფ. ვიგანდმა (გდრ).

მსოფლიოს 2 რეკორდი გაუმჯობესა ამერიკელმა. გოგონამ პ. ბატსონმა. მისი მაჩვენებლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ავსტრალიელ დ. ფრეზერის ლეგენდარული რეკორდის დამხობა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

მსოფლიოს რეკორდებს მძლავრად შეუტიეს ევროპელებმაც. აგვისტოში მათ 6 შეეწორება შეიტანეს, რომელთაგან ორის ავტორები არიან სსრ კავშირის სპორტსმენები ს. ბელიც-გეიმანი და გ. პროზუმენშჩიკოვა.

ქვემოთ მოყვანილი რეკორდების ცხრილი ნათლად გვიჩვენებს ძალთა შეფარდებას (შავი შრიფტით გამოყოფილია ქალთა შედეგები). (ცხრილი დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით.

1 აგვისტო. **შოლანდერი** (აშშ) — 200 მ თავისუფალი სტილით — 1.57,2 (ლოს-ანჟელესი).
ბატსონი (აშშ) — **200 მ თავისუფალი სტილით — 2.11,6** (ლოს-ანჟელესი).
3. ბელიც-გეიმანი (სსრ კავშირი) — 800 მ თავისუფალი სტილით — 8.47,4 (ხარკოვი).
8. **რენდლი** (აშშ)—**200 მ თავისუფალი სტილით—2.11,4** (ფილადელფია).
დევისი (აშშ) — **1500 მ თავისუფალი სტილით — 18.21,7** (ფილადელფია).
ჰენინგერი (გდრ) — 110 იარდი ბრასით — 1.08,4 (ლაიფციგი).
ვენდენი (ავსტრალია) — 220 იარდი თავისუფალი სტილით — 1.57,3 (კინგსტონი).
ოზბრაიენი (ავსტრალია) — 220 იარდი ბრასით — 2.28,0 (კინგსტონი).
ავსტრალია — ესტაფეტა 4×220 იარდი თავისუფალი სტილით — 7.59,5. (კინგსტონი).
კანადა — ესტაფეტა 4×110 იარდი თავისუფალი სტილით — 4.10,8 (კინგსტონი)
9. **ვენბრაიტი** (ავსტრალია) — **440 იარდი თავისუფალი სტილით — 4.39,6** (კინგსტონი).
რეინოლდსი (ავსტრალია) — 440 იარდი კომპლექსური ცურვა — 4.50,8 (კინგსტონი).
10. **ინგლისი — კომბინირებული ესტაფეტა 4×110 იარდი — 4.40,6** (კინგსტონი).
12. **ვინდლი** (ავსტრალია) — 440 იარდი თავისუფალი სტილით — 4.15,0 (კინგსტონი).
რეინოლდსი — 220 იარდი ზურგზე — 2.12,0 (კინგსტონი).
ტანერი (კანადა) — **220 იარდი ბატერფლაით — 2.29,9** (კინგსტონი).
13. **ავსტრალია** — ესტაფეტა 4×110 იარდი თავისუფალი სტილით — 3.35,6 (კინგსტონი).
15. **ოზბრაიენი** — 110 იარდი ბრასით — 1.08,2 (კინგსტონი).
ვენბრაიტი — 440 იარდი თავისუფალი სტილით — 4.38,8 (კინგსტონი).
ლუნდგროვი (ინგლისი) — **200 იარდი ზურგზე — 2.28,5** (კინგსტონი).
ავსტრალია — კომბინირებული ესტაფეტა 4×110 იარდი — 4.03,2 (კინგსტონი).
19. **ნელსონი** (აშშ) — 400 მ თავისუფალი სტილით — 4.11,8 (ლინკოლნი).
20. **შოლანდერი** — 400 მ თავისუფალი სტილით — 4.11,6 (ლინკოლნი).
მიუირი (სამხრეთ აფრიკა) — **200 მ ზურგზე — 2.26,4** (ლინკოლნი).
22. **შოლანდერი** — 200 მ თავისუფალი სტილით — 1.56,2 (ლინკოლნი).
ბატსონი (აშშ) — **200 მ თავისუფალი სტილით — 2.10,5** (ლინკოლნი).
23. **ბარტონი** (აშშ) — 1500 მ თავისუფალი სტილით — 16.41,6 (ლინკოლნი).
ბაკინჰემი (აშშ) — 200 მ კომპლექსური ცურვა — 2.12,4 (ლინკოლნი).
კარეტო (აშშ) — **1500 მ თავისუფალი სტილით — 18.12,9** (ლინკოლნი).
კოლბი (აშშ) — **200 მ კომპლექსური ცურვა — 2.27,8** (ლინკოლნი).
24. **პროზუმენშჩიკოვა** (სსრ კავშირი) — **200 მ ბრასით — 2.40,8** (უტრეხტი).
26. **ვიბანდი** (გდრ) — 400 მ თავისუფალი სტილით — 4.11,1 (უტრეხტი).
27. **ჩორნი** (აშშ) — 110 იარდი თავისუფალი სტილით — 53,6 (ვანკუვერი).
მიუირი — 220 იარდი ზურგზე — 2.28,2 (ვანკუვერი).
ჩონსი (აშშ) — **110 იარდი ბრასით — 1.18,1** (ვანკუვერი).
28. **შოლანდერი** — 220 იარდი თავისუფალი სტილით — 1.57,0 (ვანკუვერი).
ჩარლტონი (აშშ)—440 იარდი თავისუფალი სტილით—4.12,2 (ვანკუვერი).
ფერლი (სამხრეთ აფრიკა) — **110 იარდი ზურგზე — 1.07,9** (ვანკუვერი).
მიუირი და **ტანერი** (კანადა) — **220 იარდი, კომპლექსური ცურვა — 2.32,0** (ვანკუვერი).

„კვირეულის“ კალენდარი

მეხიკო, 29 სექტემბერი. როგორც ცნობილია, 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში სულ მალე გაიმართება „მსოფლიოს II სპორტული კვირეული“. ეს ასპარეზობა ოლიმპიადის თავისებურ რეპეტიციად გვევლინება. დადგინდა „კვირეულის“ ჩატარების გრაფიკი: აეროსნობა — 10-15 ოქტომბერი, ველოსპორტი — 12, 14, 17, 20 ოქტომბერი, ტანვარჯიში — 12-15 ოქტომბერი, ცურვა — 13-16 ოქტომბერი, ფარიკაობა — 13-16 ოქტომბერი, აკადემიური ნიჩბოსნობა, აგრეთვე, ბაიდარა და კანოე — 13-16 ოქტომბერი, ფრენბურთი — 14-19 ოქტომბერი, ჭიდაობა — 15, 16, 18, 19 ოქტომბერი, კრივი — 17-20 ოქტომბერი, მძლეოსნობა — 18-20 ოქტომბერი.

ფ. პატერსონი — ჰ. კუპერი

ლონდონში გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ამერიკელი ფ. პატერსონი და ინგლისელი ჰ. კუპერი. პატერსონმა IV რაუნდში ბრძოლა ნოკაუტით მოიგო.

სსრ კავშირი თუ ფინეთი?

ლისაბონში გაიმართა სტუდენტთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელმაც შეაჯამა ზაფხულისა და ზამთრის უნივერსიადების შედეგები და მიიღო ახალი წევრები, რის შემდეგ განიხილა მომავალი უნივერსიადების ჩატარების საკითხი.

მომავალი უნივერსიადების მასპინძლობა სურთ სსრ კავშირსა და ფინეთს. ფინელებმა საამისოდ ჰელსინკის კანდიდატურა წამოაყენეს, სსრ კავშირის დელეგაციამ კი — მოსკოვის, ლენინგრადის, ან კიევისა. საკითხი — სად გაიმართება 1969 წლის უნივერსიადა, — საბოლოოდ გადაწყდება ტოკიოს კონგრესზე.

ლისაბონის კონგრესმა ცვლილებანი შეიტანა პროგრამაშიც. მაგალითად, მძლეოსანთა ასპარეზობანი გაგრძელდება არა ოთხ, არამედ ექვს დღეს.

ფეხბურთი

ჩემპიონატები. მატჩები. ლიდერები

„სელტიკი“ და „ჰიბერნიენი“

გასულ შაბათს გაიმართა შოტლანდიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. მოგვყავს შედეგები: „სელტიკი“ — „სენტ ჯონსტონი“ 6:1, „დანდი იუნაიტედი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 2:3, „აბერდინი“ — „კლაიდი“ 1:1, „დანფერმლაინ ატლეტიკი“ — „ეირდრიონიენსი“ 0:1, „ფოლკერკი“ — „ეირ იუნაიტედი“ 5:1, „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ — „დანდი“ 3:1, „კალმარნოკი“ — „სტერლინგ ალბიონი“ 2:1, „მადერუელი“ — „ჰიბერნიენი“ 1:2.

	თ.	ბ	ქ.
„სელტიკი“	4	13:2	8
„ჰიბერნიენი“	4	18:7	8
„ეირდრიონიენსი“	4	4:1	6
„გლაზგო რეინჯერსი“	4	12:4	6
„ჰარტ ოვ მიდლოტ.“	4	8:4	6

(საკ. ინფ.).

„ინტერის“ 5 გოლი

გაიმართა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტური. მილანის „ინტერნაციონალე“ ბერგამოში შეხვდა ადგილობრივ „ატალანტას“. „ინტერმა“ გაიმარჯვა 5:0. ბურთები გაიტანეს: მაცოლამ (52-ე წუთი), დომენგინიმ (60), მაცოლამ (71), მე-80 წუთზე „ატალანტას“ ერთ-ერთმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. ბოლო გოლის ავტორია დომენგინი (87). „ინტერი“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბედინი, ლანდინი, პიკი, დომენგინი, მაცოლა, ვინჩიო, სუარესი, კორსო. აი, ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებიც: „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 1:2, „კალიარი“— — „ბოლონია“ 4:0, „რომა“ — „ნაპოლი“ 0:2, „ლანეროსი“ — „ფოჯა“ 3:1, „ლეკო“ — „ლაციო“ 0:1, „მილანი“ — „მანტოვა“ 2:2, „სპალი“ — „ბრეშია“ 1:1, „ტორინო“ — „ვენეცია“ 0:0. „ინტერნაციონალეს“, „ნაპოლისა“ და „იუვენტუსს“ 6-6 ქულა აქვთ.

(საკ. ინფ.).

შედეგიანი ტური

ინგლისის ჩემპიონატის X ტურში თავდამსხმელებმა 50 გოლი გაიტანეს. აი, ამ ტურის შეხვედრათა შედეგები: „მანჩესტერ-სიტი“ — „ჩელსი“ 1:4, „ნოტინგემ ფორესტი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 4:1, „ასტონ ვილა“ — „ლივერპული“ 2:3, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ფულჰემი“ 4:3, „არსენალი“— „ლესტერ სიტი“ 2:4, „ბერნლი“ — „ბლეკპული“ 1:0, „ევერტონი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 1:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 4:3, „საუთჰემპტონი“ — „შეფილდ უენსდეი“ 4:2, „სტოკ-სიტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 0:0, „სანდერლენდი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:4.

	თ.	ბ.	ქ.
„ჩელსი“ (ლონდონი)	10	23:9	16
„ტოტ. ჰოტს“. (ლონ.)	10	21:13	15
„სტოკ-სიტი“	10	14:6	14
„ლესტერ-სიტი“	10	27:16	14
„ბერნლი“	10	16:10	13

(საკ. ინფ.).

▲ **ოსლო.** ნორვეგიისა და შვეიცარიის მძლეოსანთა შეჯიბრებებისას სიგრძეზე ქალთა ხტომაში შვეიცარის ახალი რეკორდი დაამყარა ოსლოსმა — 631 სმ.

▲ **ლონდონი.** ტრადიციულ გარბენში ლონდონიდან ბრაიტონამდე (52,5 მილი) გაიმარჯვა ბ. გომესულმა (ინგლისი)—5:32.50. მეორე იყო კიუნი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

ჰელსინკსა და ვარშავაში

ჰელსინკი, 2 ოქტომბერი. ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ნელნელა ტემპს იღებს. დღეს აქ ჩატარდა III ჯგუფის გუნდების I კალენდარული შეხვედრა. ფინეთის ეროვნულმა ნაკრებმა საკუთარ მოედანზე მიიღო ავსტრიის გუნდი. უინტერესო ბრძოლა დაფთავრდა ფრედ 0:0. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება 1967 წლის 6 სექტემბერს ვენაში.

III ჯგუფში ზემოაღნიშნული გუნდების გარდა გამოდიან საბერძნეთისა და სსრ კავშირის კოლექტივები. 16 ოქტომბერს გაიმართება მორიგი კალენდარული შეხვედრა საბერძნეთისა და ფინეთის გუნდებს შორის. ყველა სხვა დანარჩენი მატჩი ამ ჯგუფში 1967 წელს ჩატარდება. საბჭოთა ფეხბურთელებს პირველი გამოსვლა იქნებათ მომავალი წლის 28 მაისს მოსკოვში, სადაც შეხვდებიან ავსტრიის ნაკრებს.

ვარშავა, 2 ოქტომბერი. პოლონეთისა და ლუქსემბურგის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების დღევანდელი მატჩით დაიწყო ასპარეზობა VII ჯგუფში. მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. პოლონელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. განმეორებითი მატჩი ამ კოლექტივებს შორის გაიმართება 1967 წლის 16 აპრილს. VII ჯგუფში ზემოაღნიშნული გუნდების გარდა გამოდიან საფრანგეთისა და ბელგიის კოლექტივები.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

11 УЦ 12804